

808 სოფრია

კიტა აბაშიძის მსხვილი ხელნაწები

კიტა აბაშიძე მრავალმხრივი მოღვაწე გახლდათ, მაგრამ მხოლოდ მის ლიტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებებს გულისხმობთ თუ ჩავხედავთ, გამოვაცალკევებთ ამ ერთობ ერუდირებული პიროვნების არაერთ ორიგინალურ თვალთახედვას, თუნდაც მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი სასიქადულო მწერლების შემოქმედების შესახებ, თვალწინ დაგვიდგება გოლიათური ტვირთამწეობის კაცი, რომელმაც იმდაგვარად მოაპირკეთა თავისი ეპოქა, იმდაგვარი ლიტერატურულ-ესთეტიკური საყრდენები შეუდგა მას, დღესაც გვიზიდავს იმ ეპოქის გამორჩეული არქიტექტურა, მშენებლის იშვიათი ალღო და რომანტიკული სურნელება.

სწორედ ამის გამო იყო, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვიერი ხელოვნების მკვლევრები, კიტა აბაშიძის შემდგომი თაობები მყავს მხედველობაში, გვერდს ვერ უვლიდნენ ამა თუ იმ მწერლის პირველშემსწავლელის, კრიტიკულად თაურმდგენის, ჭეშმარიტად ოსტატურ ფორმულირებებს.

კიტა აბაშიძემ პროფესიონალური ლიტერატურული ალღოთი და გაწვრთნილი შემფასებლის თვალგაყოლებით დახატა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურული პროცესის უმთავრესი მოვლენები. მთელი საუკუნის სიტყვიერი ხელოვნება ხელისგულზე გადმოგვიშალა და თითქმის ყველა მწერალს, რომლებმაც მეტად თუ ნაკლებად წარმოაჩინეს თავიანთი სამფლობელო, პირუთვნელად მიაგო მისაგებელი, არავის დარიდებია და სასწორის მომარჯვებისას არავისკენ გადახრილა, თუნდაც მათი აღიარებული ავტორიტეტულობის გამო.

მართალია, იმ საუკუნის ლიტერატურულ თაობათა გამორჩეულობის შესახებ კიტა აბაშიძემდე არაერთ მოღვაწეს აღუნიშნავს, მხოლოდ ილიასა და აკაკის კრიტიკული წერილების მოხმობაც საკმარისი აღმოჩნდებოდა, მაგრამ კიტას თითქმის მონოგრაფიებს გატოლებული თითოეული ეტიუდი თუ ესეი, უფრო სრულყოფილი, მრავალმხრივი და ზედგამოჭრილია მაშინდელი კლასიკისა თუ არაკლასიკის ფუძემდებლებისა და მიმდევრებისათვის.

ეტიუდების პირველი გამოცემა 1911-1912 წლებში განხორციელდა. პირველ ტომში გაერთიანდა ნარკვევები ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, გიორგი ერისთავისა და ილია ჭავჭავაძის შესახებ, ხოლო მეორეში მოთავსდა წერილები აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის... შესახებ.

ეს წერილები ნათელყოფენ, თუ რამდენად აიკრიფა სიმაღლე ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს (კიტა აბაშიძის ეტიუდების უმეტესობა სწორედ სხვადასხვა დროს, სწორედ საუკუნის ბოლოს ქვეყნდებოდა მაშინდელ ლიტერატურულ პრესაში), რადგან მანამდე ასე იყო თუ ისე ლიტერატურის განვითარებას ნამდვილად ვერ უსწორებდა მხარს კრიტიკა. „ჩვენი მწერლობის უბედურება იმაში მდგომარეობს, – წერდა ნიკო ნიკოლაძე 1873 წელს, – რომ მკითხველი საზოგადოება ვერ იცნობს ჩვენი პოეტების სრულ შრომას. იმას თვალწინ არ უდგია თოთოეულის მათგანის

სრული სახე და ხასიათი. ჩვენი პოეტების თხზულებები აქა-იქ, სხვადასხვა გამოცემებშია გაფანტული, ზოგჯერ დამახინჯებულიც და მკითხველს არავითარი საშუალება არა აქვს შეკრიბოს, შეაერთოს და შეავსოს თავისი საყვარელი მწერლის ლექსები, მათგან ერთბაში და სრული შთაბეჭდილებების მისაღებად. არა თუ მკითხველი, ჩვენი კრიტიკაც სწორედ ამავე სამწუხარო მდგომარეობაშია: მისი დასაფასებელი მასალა ნამეტნათ დაბნეული და გაცალცალკაევებულია და ის ვერ იღენს ყოველმხროვანს აზრს მწერლის წარსულ ნაწერზე და ამ ნაწერების ნამდვილ ხასიათზე... ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვების შრომას ძლიერ ბევრი აკლდება. უფრო მეტი ვნება ჩვენს მწერლობას ეძლევა და ბედნიერი იქნება ის დღე, როცა ჩვენ მკითხველ საზოგადოებას ამ მწერლების თხზულების კრება მიეცემა“ (ნ. ნიკოლაძე, 1873: 132).

ამასვე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე. მისი „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ სხვა საკითხებთან ერთად ეხება იმ მტკივნეულ ფაქტს, რაც გამოიხატებოდა ცნობილი მწერლების თხზულებათა გამოუცემლობით. სწორედ ამის გამოა, აღნიშნავდა ილია, რომ „სახსარი არა გვაქვს თვითეულს მათ ცალცალკე კვალში ჩაეუდგეთ და მათის ნაღვაწვევითვე დავასაბუთოთ ჩვენი აზრი მათდა შესახებ. ყოველ ამ მიზეზების გამო იძულებული ვართ ეს საწოციანი წლების ძლიერი ხანა. და არანაკლებ ნაყოფიერი მის შემდეგნი დრონი, მარტო ზოგადის ნიშნებით ზეპირად აღვნიშნოთ, ესე იგი ისე, როგორც ჩაგვსახია გულში“ (ი. ჭავჭავაძე, 1991: 548).

მაგრამ გაივლის ცოტა ხანი და ფაქტიურად მეცხრამე საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, თანდათანობით ქართველ მწერალთა თხზულებებიც მოველინება მკითხველს ცალკეული წიგნების სახით და ლიტერატურული კრიტიკაც ჰპოვებს სათანადო განვითარებას. სავსებით სწორად აღნიშნავს დ. გამეზარდაშვილი, რომ „მეცხრამეტე საუკუნის ქართული კრიტიკის დიდი მიღწევების დამადასტურებელია ის, რომ გასული საუკუნის დამლევსას, კონკრეტული ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული შესწავლა-შეფასების საქმეში მოპოვებული წარმატებებით, მას უკვე სავსებით აქვს შემზადებული ნიადაგი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის შესახებ იმ ფართო, განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომთა შექმნისათვის, რომელთა აუცილებლობა აღნიშნულ პერიოდში უკვე ნათლად არის გაცნობიერებული მოწინავე ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა მიერ. ამ დიდი და საპატიო ამოცანის გადაწყვეტა კი, როგორც სამართლიანადაა მითითებული ჩვენს ლიტერატურამცოდნეობაში, უპირველეს ყოვლისა, კიტა აბაშიძის დამსახურებაა“ (დ. გამეზარდაშვილი, 1970: 3).

„ეტიუდების“ მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ იგი ქართულ ენაზე არსებული პირველი და იმხანად ერთადერთი განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომი იყო მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე: „ეტიუდებმა“ უდიდესი როლი შეასრულა როგორც ქართული სალიტერატურო კრიტიკის შემდგომი აღმავლობის, ასევე მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული ისტორიის – როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. და თუმცა, – როგორც სამართლიანად არის აღნიშნული, – „კიტა აბაშიძის ნათელ სახეს

ერთხანს დავიწყების ჩრდილი ჰქონდა მიფენილი“ (კ. გამსახურდია, 1965: 332). მაგრამ ეს „დავიწყება“ ფორმალური ხასიათისა იყო მხოლოდ: კიტა აბაშიძის კრიტიკული ნაწერები და, კერძოდ, მისი „ეტიუდები“ მუდამ დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, სტიმულსა და გეზს აძლევდა მათ კვლევა-ძიებას.

კიტა აბაშიძის ლიტერატურულ-კრიტიკული როლის შესახებ ჩვენს ლიტერატურამცოდნეობაში ფუნდამენტური ნაშრომი გამოაქვეყნა პროფესორმა გიორგი აბაშიძემ. მან დაწვრილებით შეისწავლა კიტა აბაშიძის „ეტიუდების“ მნიშვნელობა, მისი მიზანი, საგანი, მეთოდი, ცალკეული მწერლების შესახებ კრიტიკოსის თვითმყოფადი მოსაზრება; ასევე, წარმოაჩინა ამ მოაზროვნის ზეგავლენა შემდგომი თაობის ლიტერატურის ისტორიის მკვლევრებზე, რამდენად ფასეული და ანგარიშგასაწევი გახდა კიტა აბაშიძის სინთეზური კვლევის აუცილებლობა (გ. აბაშიძე, 1982).

მეცნიერული კვლევა-ძიება არ დაკლებია კიტა აბაშიძის „ეტიუდებს“, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ მეტი ყურადღება მიგვექცია მისი წერილების ერთ მეტად გამოკვეთილ თვისებაზე: კიტა აბაშიძე ზუსტი ფსიქოლოგიური მინიშნებებითა და მიხვედრილობით წვდება ამა თუ იმ პროზაიკოსისა თუ პოეტის სულს; იგი წერის მანერას, სიტყვიერ ფონდს სწორედ იმ ქარგით არჩევს და სკრის, ალაგებს, როგორც შეესაბამება პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებს. მისგან წაკითხული ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, აკაკის, ილიას და სხვათა შემოქმედებითი ნიმუშები განუზომლად დიდ გავლენას ახდენს მკითხველზე. კრიტიკოსი ჩასაფრებული თვალთ კი არ მისჩერებია „მსხვერპლს“, არამედ ცდილობს მაქსიმალურად დაინახოს და სხვასაც დაინახოს ის სინათლე და სიძლიერე, მუხტი და ენერჯია, რომელიც ჩაბუდებულია ნაწარმოებში და კარგა ხანია ვერავის შეუმჩნევია. ბუნებრივია, შემფასებელი ერთი წუთითაც არ კარგავს სიფრთხილეს, თითქმის ვერც გამოეპარება სიყალბე, არამწერლური ნოტი, მკაცრად შეიმართება ხოლმე ამ დროს, მაგრამ არც ის ავიწყდება. რამდენად აუცილებელია „გაუშინაურდეს“, „დაუმეგობრდეს“ მხატვრულ თხზულებას, ყოველმხრივ მიმოიხედოს შიგ, მოიპოვოს ამის უფლება და, რაც მოინადიარა მისმა სულმა, გონებამ, მარტივად, გასაგებად, ყოველგვარი ბუნდოვანი ფრაზის გარეშე გაუწყოს. ამ სიმარტივემ, ანუ წერის მაღალმა ხელოვნებამ. თავად კიტა აბაშიძის „ეტიუდები“, რომლებსაც ჩვენ უაღრესად პიროვნული, სუბიექტური (მაგრამ არა მცდარი) განწყობილებების გამო ესეები ვუწოდეთ, გადააქცია ხელოვნების ნიმუშებად. კრიტიკოსი ორნამენტულად წერს, მაგრამ ერთხელ არ გაქცევია კალამი, არ გაუტაცნია ე.წ. პარფიუმერულ სტილს. ყოველ წერილს ნაღდად ეტყობა, რომ მწერალი მწერლის შესახებ წერს, ისიც მასავით განიცდის, მასავით ეფერება ყოველ სიტყვას, რომელმაც იქნებ ძნელად, მაგრამ მაინც უნდა შეასრულოს მწერლის სურვილი – ზუსტად იჯდეს თავის ადგილზე და დიდხანს შეინარჩუნოს ძალა და ხიბლი.

ამ თვალსაზრისით ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება „ეტიუდებიდან“, რაც, ბუნებრივია, შორს წაგვიყვანს. საკმარისი აღმოჩნდება ზოგიერთი ამონარიდის ამოწერა, თუნდაც ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების შესახებ დაწერილი ესეიდან (უკვე აღარ ვახსენებ „ეტიუდებს“, რადგან კიტა აბაშიძის

წერილები უფრო ესეებს მიაგავს) თუნდაც ერთ-ერთი მათგანი, სადაც მშვენივრად ჩანს ვაჟასა და ყაზბეგის დამოკიდებულება ბუნებისადმი: „მაშინ, როდესაც ვაჟას ბუნება მიაჩნია მსოფლიოს თავისებურ ელემენტად, რომელსაც თავისი ცხოვრება აქვს, თავის მოვლენათა მიმდინარეობა და კავშირი და, როგორც ასეთს, აქვს დამოკიდებულება ადამიანთან, ყაზბეგის ბუნებას ნიადაგ მოსამსახურის როლი უკავია. იგი ერთგვარი იარაღია, ერთგვარი ქონება, ერთგვარი თავის გასართობი, ერთგვარი ნავთსაყუდელი, თუ გნებავთ, მისი გამოძიებისა, და სახესაც იმის მიხედვითაც იცვლის, თუ როგორ გუნებაზე არიან ეს გმირები. ამიტომაც ვაჟას აღწერილობაში პლასტიკა სქარბობს, ბუნების გარეგანი სახე, მისი მოვლენათა გარეგანი კავშირი. ხოლო ყაზბეგი კი ბუნების საიდუმლო კავშირს გვამცნევს ადამიანთან, მის ფარულ მექანიზმს გვაჩვენებს, რომელიც მუდამ იმ უცნაურის მანქანის პატრონის ხელშია, რომელსაც ადამიანი ეწოდება, და რომელიც იმ ჰანგზე დამღერს, რა რიგადაც მომართავს იგივე ადამიანი. ყაზბეგი ბუნებას ასულდგმულებს, ხორცს ასხამს და ჰქმნის მას მისის გმირების ერთ, მისის გმირების კვნესა-გოდების, ტანჯვა-ვაების და იშვიათად მათის მხიარულების ხმის გამომცემად. ვაჟა ცდილობს, ბუნება დაგვისურათოს ისე, როგორც თვით ბუნება სჩანს და არ მოახვიოს მას თავზე არც ერთის მისის გმირის წადილი და სურვილი. ამნაირად ვაჟა ცდილობს, როგორც ყოველი რეალისტი პოეტი, თავის „მე“-ს მისის ჟინით ლაგამი აუღვას და ცოტა მოშორებით დააყენოს. ყაზბეგი კი, პირიქით, სურათს იმ ელფერს აძლევს, იმ განწყობილების გამომხატველად გამოჰყავს, რა განწყობილებაზედაც მისი მეცხვარენი არიან, ე.ი. თვით მგოსანია, რადგან... ყაზბეგის მეცხვარეებს ყაზბეგის სული უდგიათ, მისის გრძობითა და გონებით არიან აღქურვილნი, გარედან კი აცვიათ მეცხვარის გაცრეცილი ტყაპუკები, რომლის ნაფლეთებიდან ნათლადა სჩანს შეგნებული, ძლიერი პიროვნება არა ჩვეულებრივის ადამიანისა, უცნაურის გრძობებით აღქურვილისა და მომხიბვლელის გონებით შემკულისა...“ (კ. აბაშიძე, 1970: 152).

კიტა აბაშიძეს „მომხიბლავი“ წერის მანერა აქვს. იგი მკითხველს „აიძულებს“ წაიკითხოს ესა თუ ის ნაწარმოები. ღრმად ჩაიხედოს მწერლის გულში, მიაგნოს მისი თვალთახედვის წყაროს, მთავარ საზრისს. ისევ დავისესხოთ ერთი ამონარიდი: „მისი (ყაზბეგის) გმირები მისი შვილნი არიან, მათის მდიდარ, მომხიბვლელის ბუნების მიერ აღზრდილნი. მთამ შთაუწერგა მათ სულში დაუშრეტელი წყურვილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა. მთამ განუვითარა მათ ყოველივე გრძობა ადამიანისა და ჯანსაღი მხეცისა უმწვერვალესობამდე. გრძობა სიყვარულისა მოხვევს სულში თვის ფატალურსა და უძლევებს სახეს ღებულობს, როგორც ეს თვით ბუნებაშია. ამით გატაცებული არსება ივიწყებს ყოველივეს და თავგანწირული სავსებით ეძლევა ძლიერ გრძობას. აქ ვნებათა-ღელვა ისეთის ძლევამოსილებით არის აღქურვილი, ისეთ საფეხურზე აღის, რომელზედაც აღწევა ყველას არ შეუძლიან“ (კ. აბაშიძე, 1970: 153).

კიტა აბაშიძე დიდი ხელოვნებით წარმოადგენს ბუნების საუცხოო დეკორაციაში ყაზბეგის მიერ გაშლილ ცხოვრებისეულ ტრაგედიას თუნდაც „ელგუჯას“, „მამის მკვლელის“, „მოძღვარის“, „ციციას“, „ელისოს“ ფონზე. ყაზბეგის გმირები, კრიტიკოსის (თუ ესეისტის) აზრით, „ციურ სიამოვნებასაც კი მარტო ხორციელების შემწეობით გრძობენ, რაიცა სრულიად კანონიერია,

ნამდვილი და ყაზბეგის პოეტურ გამჭკრიახობის დიაღობას გვიჩვენებს“ (კ. აბაშიძე, 1970: 153).

მართლაც, მშვენიერი და გულში ჩამწვდომია კიტა აბაშიძის მიერ დანახული ყაზბეგის შეყვარებული გმირების ტემპერამენტი. იგი საშურველად ფლობს ნიქს, დაინახოს ახალი ძალა, სიხალასე და ცხოველყოფილება ყაზბეგისეული სიყვარულისა. ხედავს ყოველივე ამას და „აკანონებს“ კიდევ ფილოსოფიური ფორმულირებებით, რომ სიყვარულის გამოუცნობლობა მიმდინარეობს ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, რომ ის ადამიანზე მაღლა დგას და თავისებურად „ათამაშებს“ მას. „კაცი, რომელსაც ეწვევა რომელიმე ეს უცნაური სტუმარი (სიყვარული – დასაბამი სიცოცხლისა თუ სიყვარული – დასასრული სიცოცხლისა), სრული მისი მონა ხდება და მისი გონება, წარმოდგენა, მისი აზრი, მისი შეხედულება, ვერაფერს გააწყობს მის წინაშე. ხშირად გვიყვარს, თუმცა მთელი ჩვენი ზნეობრივი ან ინტელექტუალური არსება ამის წინააღმდეგია, სხვადასხვა საზოგადოებრივის, გინდ სარწმუნოებრივის მოსაზრებით (ამის მაგალითებს თვით ყაზბეგი გვაძლევს). ჩვენ ვებრძვით ამ გრძნობას, მაგრამ ბრძოლა ჩვენი თანდათან სუსტდება, ძალა სიყვარულისა კი მატულობს, თითქოს ისვამდესო იმ ღონეს, იმ ენერგიას, რომელიც დაგვარგეთ მასთან ბრძოლაში!“ (კ. აბაშიძე, 1970: 154-155).

კიტა აბაშიძე იმდენად აღფრთოვანებულია ალ. ყაზბეგის შემოქმედებით, საკმაოდ დიდი წერილი, ლამის მონოგრაფია დაწერა მასზე. ვერ ელევა მწერლის მოთხრობების ვერც ერთ გვერდს და ამონაწერებით დაღლილი ისევ გაიძახის, არ შემიძლია არ განვაგრძო ამოწერა. და უამრავი ამონარიდით შეიარაღებული თუ გათანგული ერთგან ასკვნის: „თავისის სიტყვით იმის გადმოცემა, რაც ძლევამოსილს ნიქს შეუქმნია, შეუძლებელია. ეს მდიდარი ქვეყანა გძნობისა, ეს დიდი უცნაური სურათი სურვათა სამეფოისა ისეთის შემოქმედისაგან არის ნაწარმოები, შექმნილი, რომ მართო მისივე კალმის ნაწყვეტს შეუძლიან მოგვეცეს წარმოდგენა ამ მომხიბვლელ სამყაროს შესახებ. ძალა სიყვარულისა ესდენ საოცრად, ესდენ წარმტაცად. ძვირად თუ ვისზე აღუწერია. აქ რაღაც რუსთაველისებურია, აქ რაღაც ღვთაებრივია. ეს ის გრძნობა კი არ არის, რომელსაც დღევანდელი მწერლები გვიწერენ, რომელიც თერმომეტრით და არშინით გამოზომილია და სასწორზედ გირვანქით აწონილი. ეს ის გრძნობა კი არ არის, რომლის რეცეპტი ჯიბით დააქვს მიჯნურს და რომელსაც გულის ძგერა წინდაწინვე დათვლილი აქვს და თავს ნებას არ მისცემს, საშუალო ზომიერებას გადააცილოს. მისმა გულმა გრძნობა იმ ღონეზე უნდა გამოსცადოს, რომ თერმომეტრმა აჩვენოს 36,6, მაჯა 70-76 მეტს არ უნდა სცემდეს და სხვ. ეს გრძნობა გრიგალის მსგავსია. მსგავსია საშინელის ლელვის, მიწისძვრის, წარღვნის, რომელსაც ვერაფერი ვერ შეაჩერებს. ვერ დააკავებს და თავის მონებს ისე ათამაშებს. როგორც ბავშვი ტიკინს“ (კ. აბაშიძე, 1970: 164).

ალ. ყაზბეგის შემოქმედებით „გატაცებისას“ ესეისტი მისი სტილისა და ენის საკითხებსაც ეხება. ბევრი შენიშვნა აქვს მოტანილი, შეიძლება სამართლიანიც, დასაბუთებულიც, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის, უფრო და უფრო აფართოებს მწერლის მომაჯადოებელ წრეს. საბოლოოდ კი მაინც სინანულგარევიტ გვაუწყებს: „ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რა სიმაღლემდის მიაღწევდა ყაზბეგის ნაწარმოები, რომ სისი სტილი შეეფერებოდეს იმ წარმტაც შინაარსს, რომლის უღირსი

გამომსახველიც ის არის. გასაოცარი მსგავსებაა ყაზბეგის სტილსა და მის შინაარსს, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრით, მის უცნაურ ნიქსა და მის ცხოვრებას შორის. ჩვენ, საზოგადოდ, ჩვენს ნაწერებში მწერლის ბიოგრაფიას გავურბით. ჩვენა გვგონია, რომ მწერლის ჩვეულებრივ ცხოვრებას თითქმის საერთოდ არა აქვს რა მის სულიერ, მის პოეტურ განწყობილებასა და ცხოვრებასთან. გადაიკითხეთ ყაზბეგის ბიოგრაფია, ბ-ნ კარიჭაშვილის მიერ შედგენილი, და დარწმუნდებით, რომ ესეთივე თვისება და კავშირია ყაზბეგის ცხოვრებასა და მის პოეზიასა, მის ნაწარმოებებს შორის, როგორც მის სტილსა და მისის შემოქმედების შინაარსს შორის. და ისე, როგორც მისი ენა ჩვენ ვერ გვიშლის, დავსტკბეთ მისის ნაწარმოების მშვენიერებით, ვერც მისი გარეგანი ცხოვრება, ვერც ზედაპირი მისის ცხოვრებისა ვერაფერს დაგვიშლის, ალტაცებით მუხლი მოვიდრიკოთ ამ დიდებულს, მომხიბვლელს და წარმტაცის შემოქმედის წინაშე. რა ხელი გვაქვს ჩვენ ბ-ნ კარიჭაშვილის ყაზბეგთან, ჩვენ ვიცნობთ ყაზბეგს ჩვენს ლიტერატურაში ახალის მიმართულების დამამკვიდრებელს. ჩვენ მიგვაჩნია და თაყვანსა ვცემთ უცნაურ შემოქმედს „ელისოს“, „მოძღვარის“, „მამის მკვლელის“ და „ციციას“ (კ. აბაშიძე, 1970: 184).

კიტა აბაშიძე დიამეტრალურად სხვა პოზიციაზე დგას გ. წერეთლის შემოქმედების მიმოხილვისას, თუმცა აქაც არ ღალატობს ჩვეულება – წეროს განწყობით, საქმის ცოდნით, ლიტერატურაში ღრმად ჩახედვითა და გემოვნებით. მართალია, მას გიორგი წერეთელი არ მიაჩნია მაღალი რანგის კი არა, საშუალო დონის მწერლადაც, უფრო მასში ხედავს პუბლიცისტსა და ჟურნალისტს, ყველა ქართველ ბელეტრისტზე დაბლა აყენებს, უწოდებს მას გადაგვარებული რეალიზმისა და უფერული ნატურალიზმის წარმომადგენელს, მაგრამ საბოლოო შეფასებისას მაინც არ ღალატობს გამოცდილება, გამზომ-ამწონელის უნარი და მისთვის დამახასიათებელი პათოსით ასეცენს:

„ყოველივე ამის გარეშე გ. წერეთელს მაინც საპატიო ადგილი აქვს ჩვენის ლიტერატურის ევოლუციაში, ვინაიდან, ჯერ ერთი, რომ ზევითაც მოვიყვანეთ ავტორიტეტული აზრი, რომ მაინც კიდევ ხელოვნების ნიჭით უნდა იყოს აღჭურვილი კაცი, რომ შესძლოს მოვლენათა სურათებით გადმოცემა, და მეორე, გ. წერეთელი შეიქმნა ჩვენს ლიტერატურაში გადაგვარებული რეალიზმის, უკეთა ვსთქვათ, თავისებურის ნატურალიზმის წარმომადგენელი და, როგორც ეგრეთმა, მიმდევრებიც შექმნა: ე. ნინოშვილის (და მისი სკოლის მწერლების – დ. ერისთავისა, დ. მეგრელის) ნაწარმოების კილო, მანერა გ. წერეთლის კილო და მანერა არის, ხოლო მეღანია კი მისი ლიტერატურული მემკვიდრეა. გ. წერეთელს, როგორც ჟურნალისტს, პუბლიცისტს, ან უკეთა ვთქვათ, როგორც პუბლიცისტ-ბელეტრისტს. საყურადღებო ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში, რომლის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. გ. წერეთელი თავდავიწყებული თანამშრომელი იყო მესამოცე წლების ჩვენის მოღვაწე კორიფეებისა და, როგორც ეგრეთი, დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის. როგორც მწერალს, მას გვერდს ვერ აუზღვევს ვერც ერთი ისტორია ჩვენის ლიტერატურისა, ვინაიდან, ვიმეორებთ, მთელის მიმართულების გამომხატველია ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ყოველსავე ამასთან, მისი ნაწარმოები არის იმ ღვთაებრივის შარავანდედით მოსილი, რომელიც უკვე ჰქმნის ხოლმე ლიტერატურულ თხზულებას“ (კ. აბაშიძე, 1970: 128).

დაუსრულებლად შეიძლება კიტა აბაშიძის ესეების მხატვრულ შესაძლებლობებსა და მათი ავტორის უზადო ენერგიულობაზე საუბარი, მაგრამ ამჯერად, გარკვეული რეგლამენტის გამო, თავს ვიკავებთ, დავსძენთ მხოლოდ, რომ კიტა აბაშიძის წონადობა და მნიშვნელობა მისი ოსტატობისა ისეთივე ძვირფასია ჩვენთვის, როგორც მისი შემდგომი თაობის წარმომადგენლებისა, განსაკუთრებით მაღალი რანგის ესეისტური ხელოვნების ნიმუშთა შექმნის თვალსაზრისით. გავიხსენოთ თუნდაც: გერონტი ქიქოძე, აკაკი ბაქრაძე, გურამ ასათიანი, თამაზ ჩხენკელი...

#### გამოყენებული ლიტერატურა

- გ. აბაშიძე, 1982 – გ. აბაშიძე, კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, თბ., 1982.
- კ. აბაშიძე, 1970 – კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ლიტერატურის შესახებ, თბ., 1970.
- დ. გამეზარდაშვილი, 1970 – დ. გამეზარდაშვილი, კიტა აბაშიძე და მისი „ეტიუდები“, წიგნში: კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბ., 1971.
- კ. გამსახურდია, 1965 – კ. გამსახურდია, თხზ., ტ. VII, თბ., 1965.
- ნ. ნიკოლაძე, 1873 – ნ. ნიკოლაძე, გრიგოლ ორბელიანი, ჟურნ. „კრებული“, 1873, №3.
- ი. ჭავჭავაძე, 1991 – ი. ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, თხზ., ტ. V, თბ., 1991.

## GIA KHOPERIA

### KITA ABASHIDZE'S ESSAYIST ART

Kita Abashidze is one of those who laid a foundation of literary criticism in Georgia. His "Etudes" adequately provide an insight into the process of development of the 19<sup>th</sup> century Georgian literature. Initially, Kita Abashidze published essays on literary works of Al. Chavchavadze, Gr. Orbeliani, N. Baratashvili, Iliia, Akaki, Vazha-Pshavela and Al. Kazbegi that have almost the same depth and intensity as monographs. These essays provide a highly professional discussion on the world view as well as artistic depths of the above-mentioned writers.

Kita Abashidze's creative mastery in literature deserves special mention. His "Etudes" or essays are not sufficiently studied in terms of literary devices. Apart from a literary critic's extensive experience and explicit criteria for the evaluation of works, the ability to touch the human soul and a unique temperament of written material are of particular importance. These qualities, combined with the features of K. Abashidze's writing manner, allow us to openly describe him as not only a *dry-style* critic but also a remarkably talented researcher.